ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N №GOG/D/NCS/372/005/2014

ქ. თბილისი „ 03“ „აპრილი“ 2014წ

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბ-ნი გიორგი სომხიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „აბსოლუტ სერვისი“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი თედორე კუხიანიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ საფუძველზე, შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შედეგად (GE0140007234) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3.„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4.„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5.„დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფახულანის თემის ცენტრიდან საბერიოს საზღვრამდე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის შედგენის მომსახურება (შემდგომში მომსახურება) (cpv71320000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1(ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი ღონისძიებები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, მომსახურების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2.მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.3.მომსახურების გაწევის ვადა მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1(ტექნიკური დავალება).

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1 მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2 მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის სპეციალისტი ბ-ნი ვასილ ფეხმაშვილი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.მომსახურების წარდგენისა და მირება-ჩაბარების პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი.

7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5.მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებიდან გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარის, უპირობო,

გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადას.

7.6.წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 7.5. პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9.პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას და ასევე წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი რისკის დაზღვევის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისა და მიმწოდებლის სასარგებლოდ უზრუნველყოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ქვემოთ მითითებული პირობების შესაბამისად:

9.1.1.პროფესიული დაზღვევის დასაფარი თანხა შეადგენს 105000 (ასხუთი ათასი) ლარს. (ფრანშიზა - არაუმეტეს 525ლარი).

9.1.2.დაზღვევა უნდა ფარავდეს ყველა მოსალოდნელ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მიმწოდელის პროფესიული შეცდომის შედეგად და რომელმაც წარმოშვა შემსყიდველისათვის დამატებითი ხარჯი ან ზიანი.

9.1.3.პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უზრუნველსაყოფად მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 2 კალენდარულ წელზე ნაკლები მისი გაცემის თარიღიდან.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 9.1.1. პუნქტში განსაზღვრული ფრანშიზის დაფარვას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

9.3.იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის შეცდომის ან არასათანადო შესრულების შედეგად გამოწვეული ხარჯის ან/და ზიანის დაფარვა ვერ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 9.1. პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მიყენებული ხარჯის ან/და ზიანის ანაზღაურება.

10. შესყიდვის ობიექტის საკუთრება, კონფიდეციალურობა და სავტორო უფლება

10.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტის შემდგომაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მისი შემადგენელ ყველა ნაწილთან დაკავშირებულ ინფორმაციის კონფიდეციალურობის დაცვა.

10.3.საავტორო ულების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.მხარეთა ვალდებულებები

11.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

11.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
11.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
11.2.შემსყიდველი ვალდებულია:
11.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.
11.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
11.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

12.მხარეთა უფლებები
12.1მიმწოდებელს უფლება აქვს:
12.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
12.2 შემსყიდველს უფლებააქვს:
12.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.
12.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

13.ფორს-მაჟორი
13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
14.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების

დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის ან წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის პოლისის დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

18.1. მხარეთა შეთანხმებით;

18.2. ხელშეკრულების 17.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

18.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

20. განსაკუთრებული პირობები

20.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

20.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"	შპს„აბსოლუტ სერვისი"
ს/კ 206074193	ს/კ 205256523
ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150	ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N16/18
ს/ს ბანკი რესპუბლიკა	სს „ ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი № 220 101 757	ბანკის კოდი REPLGE
ა/ა GE34BR0000010875120582	ა/ა GE81BR0000010100623898
გიორგი სომხიშვილი	თედორე კუხიანიძე
აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი

2014 წლის 03 აპრილის NGOG/D/NCS/372/005/2014
ხელშეკრულების დანართი N1

ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფახულანის თემის ცენტრიდან საბერიოს საზღვრამდე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად

1. შესავალი

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობის გაძლიერებას ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სამსახურებში ფინანსური რესურსების ინვესტირების მეშვეობით და პირველადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად გაუმჯობესებას ადგილობრივი თემებისათვის. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ და გადამხდელ ორგანიზაციას უცხოური და ადგილობრივი სახსრებით დაფინანსებული პროექტებისათვის.

წინამდებარე ტექნიკური დავალება მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას (ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება). წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფახულანის თემის ცენტრიდან საბერიოს საზღვრამდე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით.

2. ქვეპროექტის მოკლე აღწერა

ობიექტი მდებარეობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე. დავალება ითვალისწინებს საავტომობილო გზის რეაბილიტაციას ფახულანის თემის ცენტრიდან, ანუ მდ. ოლორზე არსებული N1 ხიდიდან ოკუპირებულ ტერიტორიამდე (სოფ. საბერიოს საზღვართან არსებულ რუსულ ბლოკპოსტამდე). საპროექტო გზის სიგრძე ტრასაზე არსებული რამოდენიმე მიერთების ჩათვლით (მათ შორის N2 ხიდიდან ფახულანის ცენტრამდე), საორიენტაციოდ 5,0 კმ-ს შეადგენს. გზის სიგანე საშუალოდ 6 მ-ს შეადგენს. გზის მთელ სიგრძეზე ამორტიზებული და დამლილია ასფალტობეტონის საფარი, ასევე ამორტიზებულია ღორღის საფუძველი და ფიქსირდება დიდი რაოდენობის ორმოები წყლის გუბეებით. აბსოლუტურად მოშლილია და არ მუშაობს სანიაღვრე სისტემა, კერძოდ ამორტიზებულია და ხშირ შემთხვევაში გაუქმებულია გზის კიუვეტები (მიწის არხები), შესაკეთებელია ბეტონის კიუვეტები ფახულანის ცენტრში, 3-4 ადგილას აღსადგენია (მოსაწყობია) გზის მარჯვენა ფერდიდან ჩამომავალი წყლის დამჭერ/გამყვანი ბეტონის ნაგებობები და მილხიდები, მოსაწყობია ახალი მილხიდები, წყალგამტარები და ეზოებში შესასვლელი კვანძები. 2-3 ადგილზე გასაწმენდია მარჯვენა ფერდის ჩამონაშალი, რომელიც გზის შევიწროებას იწვევს, სასაფლაოს მიმდებარე უბანზე საჭიროა გაბიონის კედლის მოწყობა დაახლოებით 20-30 მ-ის სიგრძეზე.

დავალება ითვალისწინებს: გზის ვაკისის რეაბილიტაციას (ხრეშის შემასწორებელი ფენის და ღორღის საფუძველის მოწყობა), ორფენოვანი (6-4 სმ) ასფალტობეტონის საფარის და ხრეშის გვერდულების მოწყობას, მიწის კიუვეტების და ჩამონაშალი გრუნტის წმენდას, ხელოვნური ნაგებობების (მილხიდები, ბეტონის ღარები, წყლის დამჭერ/გამყვანი კვანძები, გაბიონები) მშენებლობას და გზის განათების აღდგენა/მოწყობას.

3. დავალების მიზანი

ამ დავალების მიზანს წარმოადგენს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება, რომელიც შემდგომ გამოყენებული იქნება პროექტის განსახორციელებლად.

3.1 ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა

დავალება გულისხმობს ფინანსური, ტექნიკური, გარემოსდაცვითი შესწავლის მომზადებას, რომელშიც ასევე შევა შემოთავაზებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი.

მიმწოდებელის (კონსულტანტის) მიერ წარმოსადგენი მასალა უნდა უზრუნველყოფდეს საფუძველს, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ბანკი გადაწყვეტს პროექტის დაფინანსებას და უნდა მოიცავდეს:

- ქვეპროექტის ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთება, ყველა შესაძლო ალტერნატივის მიმოხილვის ჩათვლით.
- რეკომენდაციები პროექტის განხორციელების გეგმის შესახებ და განხორციელების საგარაუდო გრაფიკი;
- პროექტის პრობლემებისა და რისკების ანალიზი;
  პროექტის პარამეტრები და ალტერნატივები;
- მუნიციპალიტეტის/საწარმოს ფინანსური მონაცემების ანალიზი პროექტამდე და პროექტის განხორციელების შემდეგ;
- მუნიციპალიტეტის ფინანსური და საოპერაციო შესაძლებლობის დადგენა და პროექტის განხორციელების შემთხვევაში საოპერაციო და სხვა თანმდევი ხარჯების დაფარვის უნარიანობა; პროექტის დასრულების შემდეგ ობიექტის მდგრადობის შენარჩუნება;
- საგრანსპორტო ქსელის ანალიზი და მაღალპრიორიტეტული საჭიროებების განსაზღვრა;
- გზების გაუმჯობესებიდან გამომდინარე მგზავრობის დროის შემცირება, საგრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯის შემცირება და გარემოს დაბინძურების შემცირება;
- პროექტის ეფექტურობა გათვლილი ბენეფიციარების ხვედრით მახვენებელზე დახარჯულ ინვესტიციების ოდენობასთან შეფარდებით;
- გამოყენებული მეთოდოლოგია.

საბაზისო ინდიკატორები

- საგრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯების შემცირება;
- ინვესტიციების ეფექტურობის მახვენებელი.

საწყისი ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასებისათვის.

მიმწოდებელი განახორციელებს წინასწარ შესწავლებს და შეაგროვებს იმ მინიმალურ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად პროექტის კატეგორიზაციისათვის, გზშ-ს აუცილებლობის შესახებ გასაწყვეტილების მიღებისა და გზშ-ს ტექნიკური დავალების მომზადებისათვის. მიმწოდებელი ასევე მოიპოვებს და წარმოადგენს განსახლების საჭიროების შეფასებისავის საჭირო ინფორმაციას (მიწის მფლობელობის და ზემოქმედების მასშტაბის წინასწარი შეფასება); წინასწარი შესწავლის ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- პროექტის მოკლე კონცეფტუალური აღწერა

- პროექტის განხორციელების ადგილი ტოპოგრაფიულ რუკაზე და ნაგებობების სიტუაციური გეგმა

- პანორამული ფოტოები და ცალკეული ნაგებობებისათვის განკუთვნილი ადგილების ფოტოები

- წინასწარი ტოპოგრაფიული, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ინფორმაცია (რელიეფის, ქანების, ნიადაგის აღწერა არსებული საარქივო მონაცემების და ვიზუალური დათვალიერების შედეგად; ინფორმაცია უნდა იძლეოდეს დასკვნას სახიფათო გეოლოგიური პროცესების არსებობის ან აღბათობის შესახებ, აფეთქებითი სამუშაოების წარმოების აუცილებლობის შესახებ; გრუნტის წყლების განლაგების ხიდრმის შესახებ და ა.შ.)

სიახლოვე მდინარესთან ან ზედაპირული წყლების სხვა ობიექტებთან (ტბები; არხები და ა.შ.)

- გულისხმობს თუ არა პროექტი ტყის გაჩეხვას ან სხვა სახის მცენარეული საფარისაგან გაწმენდას

- მიწის მფლობელობის და მიწათსარგებლობის საკითხები;

ა) საკადასტრო მონაცემები პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე. ბ) ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, ახდენს თუ არა პროექტი ზემოქმედებას კერძო საკუთრებაში მყოფ ან არენდით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ზემოქმედებას (დროებითი შეშფოთება; ნაკვეთის ნაწილის ან მთლიანად ნაკვეთის დაკარგვა მფლობელის მიერ; ნაკვეთზე არსებული ქონების დაკარგვა; შემოსავლის დაკარგვა და ა.შ.)

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემსყიდველის გარემოს დაცვისა და სოციალური სპეციალისტი განახორციელებს სკრინინგის პროცედურას, რომლის საფუძველზეც განსაზღვრავს შემდგომი გარემოსდაცვითი და სოციალური შესწავლების აუცილებლობას.

ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის საფუძველზე მიმწოდებელი მუნიციპალიტეტთან და შემსყიდველთან ერთად განსაზღვრავს ქვეპროექტის ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელ პრიორიტეტულ სამუშაოებს, რომლისთვისაც დამუშავდება დეტალური საინჟინრო პროექტი.

3.2 დეტალური საინჟინრო პროექტის და სატენდერო მასალების მომზადება

საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს (მაგრამ შეიძლება არ შემოიფარგლოს) დეტალური პროექტის შესადგენად საძიებო-კვლევით და საპროექტო სამუშაოებს, კერძოდ:

I. ობიექტის რეკოგნოსცირება
II. საძიებო-კვლევითი სამუშაოები
   - ტოპოგეოდეზიური აგეგმვა;
   - საველი ნაწილის არსებული საგზაო სამოსის კონსტრუქციის გამოკვლევა (გეოლოგიური ჭრილები);
   - ბორდიურების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;
   - სანიაღვრე სისტემის მდგომარეობის შესწავლა;
III. საპროექტო სამუშაოები
   - საგზაო სამოსის კონსტრუქციის შერჩევა;
   - გრძივი და განივი პროფილების დაპროექტება;
   - საველ ნაწილზე არსებული კომუნიკაციების ჭების სახურავების საპროექტო ნიშნულზე მოყვანა;
   - წყალამრიდი ღონისძიების გათვალისწინება საჭიროების მიხედვით;
   - სანიაღვრე სისტემის სქემა;
   - ფია არხების/მილსადენების გეგმები, მასშტაბი 1:1000/1:2000;
   - სანიაღვრე ქსელების გრძივი პროფილები, მასშტაბი 1:1000/1:2000, 1:100/1:200;
   - სისტემის ელემენტების ტექნოლოგიური და კონსტრუქციული ნახაზები, მასშტაბი 1:100/200/500;
   - გზის განათების აღდგენა/მოწყობა;
   - სამუშაოთა მოცულობების საპოკეტო უწყისის შედგენა;

- სამუშაოთა მოცულობების კრებსითი უწყისის შედგენა;
- საჭირო მასალების ამონაკრები;
- საჭირო მანქანა-მექანიზმების უწყისის შედგენა;
- მშენებლობის კალენდარული გრაფიკი;

IV. მშენებლობის ორგანიზაცია;
V. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა.
VI. ტექნიკური სპეციფიკაციები სატენდერო დოკუმენტაციისათვის.

პროექტის განმარტებით ბარათში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო გაანგარიშებები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.). მოცემული უნდა იყოს სარეაბილიტაციო ობიექტის ძირითადი პარამეტრები, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, სამუშაოთა ნამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით, გარემოსდაცვითი ნაწილი.

მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები და გაანგარიშებების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისათვის, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.

პროექტს თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია.

4. მიმწოდებლის შტატი

მიმწოდებელმა დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე ტექნიკური პერსონალის).

ყველა ექსპერტი (წამყვანი სპეციალისტი) თავის შესაბამის დისციპლინაში აღიარებული პროფესიონალი უნდა იყოს და გააჩნდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების არანაკლებ 10 წლის პროფესიული გამოცდილების სტაჟი.

5. ანგარიშება და განრიგი

დავალების დაწყებიდან 1 კვირის ვადაში მიმწოდებელი წარმოადგენს დასაპროექტებელი ობიექტის შესწავლის წინასწარ ანგარიშს, მუნიციპალიტეტთან და შემსყიდველთან ერთად ტექპროექტის ბიჯების ფარგლებში პრიორიტეტული სამუშაოების განსაზღვრის მიზნით. შემსყიდველი 1 კვირის განმავლობაში მიაწვდის მიმწოდებელს შენიშვნებსა და კომენტარებს წინასწარ ანგარიშთან დაკავშირებით.

დაგალების დაწყებიდან 5 კვირის ვადაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს დეტალური პროექტის საწყის ვარიანტს შესათანხმებლად. შემსყიდველი 1 კვირის განმავლობაში მიაწვდის მიმწოდებელს შენიშვნებსა და კომენტარებს პროექტთან დაკავშირებით.

მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის კომენტარების მიღებიდან 1 კვირის განმავლობაში, შეიტანოს სათანადო ცვლილებები პროექტში და საბოლოო ვარიანტი, ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლასა და სატენდერო მასალებთან ერთად წარუდგინოს შემსყიდველს.

პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენიდან 1 კვირის განმავლობაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პროექტის შეთანხმების დოკუმენტს.

მიმწოდებელმა შემსყიდველს (დამკვეთს) უნდა გადასცეს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის საბოლოო ანგარიში, დეტალურ პროექტი და სატენდერო მასალები დაბეჭდილი სამ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენაზე.

წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსია (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები – AutoCAD ფორმატში).

6.განსაკუთრებული პირობები

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია აღნიშნული პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში (საკვლევების შემთხვევაში), მათ შორის საპროექტო მომსახურების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოინაწილეობა მიიღოს საპროექტო გადაწყვეტილებათა დახვეწებაში, მუშა ნახაზების, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში.

7. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

8. მომსახურების ხანგრძლივობა

საკონსულტაციო მომსახურების საორიენტაციო ვადაა 8 კვირა.